საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე **№** 0

ID 452723350

ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შპს ეიმ ბილდინგ გრუპ	თანხა ციფრებით 4577.14 **GEL**
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	416315240	
ანგარიშის ნომერი	GE44PC0473400100000004	თანხა სიტყვებით ოთხი ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ლარი 14 თეთრი
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	
საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:30 სთ-მდე
დასახელება		
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი		
მიმღების დასახელება	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი	ბანკის აღნიშვნები ბანკში შემოსვლის თარიღი **21.11.2016 15:24**
ანგარიში / სახაზინო კოდი	GE14LB0125152101629525	
მიმღების ბანკი / ხაზინა	სს "ლიბერთი ბანკი" კოდი LBRTGE22	
გადახდის დანიშნულება	თანახმად ბრძანება #1-1926 - 25.10.2016 წელი.	ხელმოწერა - - - - - - - - - - - - - - - - -
დამატებითი ინფორმაცია		
ხელმომწერები -	ბეჭდის ადგილი თარიღი: **21.11.2016**	პროკრედიტ ბანკი PROCREDIT BANK ელექტრონული მომსახურების სერვისი ELECTRONIC SERVICE CENTER

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1926

„25" „ოქტომბერი 2016 წ.

ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, ანაპის 414–ე დივიზიის ქ. №39–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.002.037) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 15 სექტემბრის №47 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, ანაპის 414–ე დივიზიის ქ. №39–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.03.002.037), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,5.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნას „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22. ა/ანგარიში: GE14LB0125152101629525. 4577,14 (ოთხი ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარის.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია